

- 5 ეკვერსონი უ. ვესტერნის იდუსტრიულებული ისტორია. სექტემბერი, „სიტაცე პრესი“, 1969, გვ. 234 (ინგლისურ ენაზე).
- 6 კონის სამყაროში... ტ. 3, გვ. 178.
- 7 „ილუზიონი“, 1992, აპრილ-ივნისი, გვ. 20.
- 8 ფრან ნ. კრიტიკული გზა. ბლუმინგტონი, „ინდიანა იუნივერსიტეტი პრესი“, 1971, გვ. 19 (ინგ.).

- 9 „ისკუსტვითი კინო“, 1989, № 10, გვ. 137.
- 10 ი. კომივი ი. ნიუაბახევიძი ჰოლგული. თბილისი, „ხეროვნება“, 1984, გვ. 62.

- 11 სობოლევი ჩ. ჰოლგული 60-აან წლებში. მსაკოვა, „ისკუსტვი“, 1975, გვ. 138 (რუსულ ენაზე).

- 12 დენიენი ჯ. გუდაბლიძი ღიაღოვი. ურბანი, „იუნივერსიტეტი იუ იდიონის პრესი“, 1980, გვ. 13 (ინგ.).

- 13 „ფილმზე ენდ ფილმინგი“, 1965, № 6, გვ. 51.

- 14 „ნიუ-იორკ ტამსი“, 1967, 24 ნოემბერი, გვ. 12.

15. „სოვეტსკი ექრანი“, 1979, № 17, გვ. 18.

- 16 „ნოვოსტი ეკრანა“, 1968, № 26, გვ. 12.

- 17 „საით ენდ საუნდი“, 1980-1981, ზამთარი, გვ. 47.

- 18 კარცვა ე. დობინსკი მ. „კარგი, ვული, ავი“, გრებულები „მსოფლიოს ექრანებზე“, მ. „ისკუსტვი“, 1972, გვ. 105 (რუს.).

- 19 კიცისი ჯ. ვესტერნი, კრ. „ამერიკული კინი“, ვაშინგტონი, „ვოის იუ ამერიკა“, 1973, გვ. 337 (ინგ.).

- 20 ჯაირი თ. დასახ. ნაშრ., გვ. 196.

- 21 კიტ.: ჯონსტონი ი. უსახელო კაცი. ლონდონი, „პლეისასი“, 1981, გვ. 39 (ინგ.).

- 22 ქრისტი ჯ. ჰილვულის ახალ ვესტერნის ანარქიული, კრ. „ფოკუსი ვესტერნზე“, ინგლიულ-ქრისტი, „პრემიას-ჰოლი“, 1974, გვ. 115 (ინგ.).

- 23 „კასაბლანა“ 1984, აპრილ-მაისი, გვ. 16.

- 24 „ინგ სინემა“, 1988, № 2-3, გვ. 14.

- 25 სენტიტი ტ. ჰილვულის დიდი ვესტერნები. ნიუ-იორკი, „იეფა პრესი“, 1990, გვ. 35 (ინგ.).

- 26 ფერი. უილემბის ისტორია. ნ.-ი., „ჰოლტ, საინტარტ ენდ უილსტონი“, 1979, გვ. 253 (ინგ.).

თეატრი და შემდიღობა

ოქტავ მანიშვილი

— მანდ რა ხდება, მას ხომ უნდა ეთამაშა!

— არა, ბატონი, მხოლოდ იმ ზომით, რა ზომითაც თითოეული ჩევნთავანი თამაშობს როლს, რომელიც მისოვისაა განსაზღვრული, ან რომელიც ცხოვრებაში მას მიაკუთხნეს სხვებმა.

„ექსი პერსონაჟი ავტორის ძებაში“. ლ. კირალევი

თეატრისა და შემდიღობის ურთიერთმიმართება ორ ასპექტად შეიძლება წარმოგვიდგეს. სიგიჟე ანუ შეშილობა თვით ქმნის სიტუაციებს, რომლებიც დრამასა ან კომედიას გვაკონებს. თავისთავად ისმის კითხვა, ხომ არ არის დავალებული რაიმეთი ეს „ოფიციალური“ თეატრი ამ ცხოვრებისეული, სპონტანური თეატრისაგან. იმ დროს, როცა თვით სცენა რაღაცნაირად

ოქტავ მანიშვილი — ცნობადი ფრანგი ფიქტანისტი და კულტუროლოგი, ატერისტი წიგნებისა: „ფრეიდი“, „პრისკერი“ და კალიბანი“, „პირად წერილები ბატონ დირექტორს...“ „თეატრი და შემდიღობა“ — ნაწევებია მისი ცნობილი წიგნიდან „განალები წარმოსახვისათვის, ანუ სხვა სცენა“.



აგრძელებს და ახანგრძლივებს ამ პირველად სპონტანურ თეატრს და გვიჩვენებს ნამდვილ ავადმყოფებს: ლედი მაკბეტის მსგავს სომნამბულებს, მეცე ლი-რივით მბოდავ ადამიანებს და ა. შ.

დამოკიდებულება, რომელიც შესაძლოა წარმოვადგეს თეატრალურ თა-მაშსა და შეშლას ან ნევროზს შორის, ძველთაგანვე განიხილებოდა მხატვრული აქტივობისა და ზოგიერთი პათოლოგიური მდგომარეობის ანალოგიათა პრობლემის გაშუქებისას. გულუბრყვილო იქნებოდა იმის ფიქრი, რომ დროთა განმავლობაში ეს საკითხი ასე თუ ისე გაირკვა. და დღეს, ამ საკითხში შეუძლებელია გაექცე ბუნდოვანებას.

სპონტანური თეატრი

სპონტანურ ქმედებათა შორის, რომლებიც „ოფიციალური თეატრის საწყი-სებთან დგას, გარდა ჩევეულებრივი თა-მაშებისა და წეს-ჩევეულებებისა, არის მოვლენები, რომლებიც უმეტესად ფსი-ლოპათოლოგიას განეკუთვნება. საქმე ეხება ისეთ სუბიექტებს, რომლებიც ტოვებენ შთაბეჭდილებას, რომ ისინი უნდებურად, შეუგნებლად, რაღაც „რო-ლის“ ტკუნძაში არიან. როდესაც ხე-დავ ვნებით შეპყრობილ ადამიანებს, ფსიქოპათოლოგიის გარეშეც შეიძლება შეიქმნას შთაბეჭდილება „სამსახი-ობი“ თამაშის შავ ჩანახატებზე. ასეთ კრიზისულ მოვლენებში მძღავრი უფ-ეტის მისაღწევად ადამიანებს შეუძლიათ გამოიყენონ პროფესიული თეატ-რის ხერხები. და მაინც, კველას საფუძ-ველი გვაქვს ვიფიქროთ, რომ არსებობს რაღაც ორგანული თეატრალობა, რო-მელიც არაფრით არ არის დავალებული პროფესიული სცენისაგან.

შემთხვევითი არ არის, რომ ფსიქო-პათოლოგია საზრდოობს და იყენებს კი-დეც თეატრალურ ტერმინებს. „რეა-ლობის აქტივურებად“ იწოდებიან ნევ-როტიული სუბიექტები, რომლებიც თა-

ვის თავსაც და სხვებსაც აწევდენ სუბი- მოდგენებს საკუთარი ცხოვრებიდან, რაც მათი წარმოსახვითაა ტრანსფორ- მირებული. ასევე ტერმინით „დრამა- ტიზაცია“ გამოხატავენ ავადმყოფთა ის- ეთ ქმედებას, როდესაც ეს უკანასკნე- ლინი, შეკნებულად თუ შეუგნებლად წარმოიდგენენ ანდა „ქმნიან“ კიდეც რეალურ კატასტროფებს, რაც შეიძლე- ბა შევუდაროთ მხოლოდ ტრავედიული კვანძის გახსნას. ორესტეს მწარე სიხა- რული (ღმერთების წყალობით ჩემი უბედურება...) შეიძლება შეგვხვდეს მრავალ ადამიანთან, რომლებიც მიდრე- კილნი არიან სულიერი მაზონიზმისა- კენ, რაც განსაკუთრებით მკვეთრად ვლინდება იმ მონოლოგებში, რომლე- ბიც ადამიანს საკუთარი დრამის გმი- რად ხდის.

ნევროზის თეატრი

„ჰისტრიონეულებად“ წოდებული სუ- ბიექტები, ერთგვარად თავის მიერვი გათმაშებული გრძნობების მსხვერპლი ხდებიან (ფსიქოანალიზმმა სწორედ ის უნდა გამოივლინოს, რაც მათშია ჩადე- ბული). ამასთან, ისინი სულაც არ გა- ნიცდიან ამ გრძნობებს და სწორედ ამ გრძნობების მოსაპოვებლად თამაშობენ. ისინი თამაშობენ სიყვარულს, ეჭვიანო- ბას, შელახულ თვემოუვარეობას, დარ- დსა და სიხარულს, რადგანაც განუწყ- ვეტლივ ებრძვიან საკუთარ შეგრძნება- თა უძლეურებასა და თვითუარყოფას. ეს ყოველგვარი გრძნობებისაგან დაცლილი კომედია, გათამაშებული ისტერიკებით, გვახსნებს დიდროს „პარადოქსს მსა- ხიობის შესხებ“.

კლინიცისტი ფსიქოანალიტიკოსე- ბი, რასაკვირველია, არასოდეს ივი- წყებენ განსხვავებებს „ნევროზის თეატრსა“ და ნამდვილ სცენას შორის... მსახიობი, როგორც წესი, არ არის ის- ტერიული. ყველაფერი—სწორედ მაშინ რთულდება, როცა ორი ცნება „ჯანმრ- თელი“ და „ავადმყოფი“ ხვდება ერთ-

մանցտես. այսը եօթ եծցեա: շրտո դա ոչոց-
ց աճամանան և լցենանց մշտական պահանջան-
աննեցա մեսախոնձ ուղարկեա: ենցրոնիու զա-
լա նօնանե ազլունքես; և ենցարան ռոռ-
տ շաբաթատ - տյագիրալուրո թիյենոյան գա-
նոնեցնու շնուսածան մեսախոնձ մշտական
լուա գարցուցեա: տաշու էշրտանայտան,
լցենու մուրմա զո գարցուցեա եծցեա լու-
ց ենցրոնիու զանոնեցնու մուեցատ. տյա-
մբ ց գանենեցացնու մօցնեա զյ սայմառու
ազուլուա. „էտեթրուոնցուլու“ ռոռու (էտե-
թրուոննումու յո նոցուրու օտքերուուլո
յմեցնու գանցուուցու նախուլուա) առա-
սուցես առ առու բարմելուցնուլո միցա-
րու ռոռու սախու, ռոցուրու ց տյագիր-
ու եծցեա. ոյց մոցցու նոցուրու մետուրու
ռոցուրու հրալուա. մացալուտագ, ուղա-
նուա, ռոմելուց ենցրուուց ալմոնեն-
ցնեա, առայցու յցես սայրու, „զոմոցցու
ուղանուաստան“, ռոմելուց ցուլուսեմունե,
ռոռ աճամանա առ սոնդա թյուզուցնուցե.
տյագիրալուրո օլունուա տանամշրումլու-
նաս օտեռուս, տյամբ ց տանամշրումլու-
նա մացուրեցնուան և սուլաց առ նօնանց
սոնդունունաս անդա ցուլուցնուցուլո մօն-
դունաս. մացալուտագ, էտրանցուլուսետան
այցանուրուցնուլո մտյուլո տյուրուա դա տյ-
ագիրալուրո էրայցիուց մշտական ցազո-
ցու ռոցուրու նոցու աճամանան ւու
մօնս լցեմունեթրուուցնուս, ռոռ ցամոցց-
նեցնու ոյնաս մեսախոնծուրո տամաժու դա
էտեթրուոննումու. ձանցուցնուլո լցեմունու
սույուննունան, ռոռ տյ մեսախոնծու
ռոռու տամաժունե, իցուլուցնուց աճ-
ամանցնու մօնացց ացուցնու լցեուրեան,
հաջցան սեսնու անց տյ օւց լցեուրեան սա-
յցտարու տաշու մօմարտուցնու դա մաժո-
նաց, ռուցյաց լցունունե և ենցեա լց-
ուցանոն լցելունուն; մացրամ մեցանց-
լունամա մօսալուն օւ, ռոռ էտրանցու-
լու լցուրու լցենուստուուս, սաճաց և լցուրու
ամցարու լցելունուս նոնանիարու մետուրու
ետքուա.

ვარ მეუე — მე მას ვთამაშოს; ამგრიმ ვასახიერებ რა მეუეს, ვცდილობ გინ-
ვენოთ, რას წარმოვადგენ სინამდვილე-
ში. კერძოდ — რომ მე კარგი შსახიობი
ვარ. ამგვარი დამტკიდებულება დამან-
გრეველია რაიმე ფუნდამენტალურის-
თვის თეატრალურ თამაშში. ასეთ შემ-
თვევაში, ნევროზის სპონტანური თე-
ატრალობის შერევა პროფესიულ
თეატრთან ხდება არა სუბიექტის და
პერსონაჟის, არამედ აქტიორის პიროვ-
ნებასთან გაიგივების შედეგად. ამგვარი
აღრევა ანგრევს, მაგრამ ბევრსაც ჰყენს
ნათელს, როდესაც ერთი მსახიობი ბა-
ძავს მეორეს. ასეთი ხუმრობა საგჭვო
ხასიათისაა, თუმცა ხშირად გამოიყენე-
ბიათ სცენაზე, მაგ., მოლიგროთან.

ამდგნად, არც იყო საჭირო დავლო-
დებოდით თანამედროვე ფისიქოლოგიის
აღმოჩენებს, რათა შეგვემნია, რომ ამ
სფეროში არის განსხვავებები, რომელ-
თა დანერგვა და მხარის დაჭრა აუცი-
ლებელია. ჯერ კიდევ კოლორიჯი, თუმ-
ცა სხვაგვარად, ცდილობდა აეხსნა ეს,
მიაწერდა რა შექსპირს, როგორც თა-
ად უერთდება, რეპრეზენტატიულ „მე“-ს,
თანაბრად სამართლიანია, როგორც ავ-
ტორების, ისე მსახიობების მიმართაც.
„რამდენჯერ — ამბობდა იგი — როცა
მარტო დავრჩენილვარ, მინდოდა მელა-
პარაკი, როგორც მეტეს, იმისდა მაგვა-
რად, როგორც სიზმარში შეიძლება გა-
იძრწყიონ ამაყი ქცევით“. მას უნდოდა
ეთქვა, რომ თეატრი არ ეხება ადამია-
ნის ჭეშმარიტ „მე“-ს, არამედ ყოველ-
თვის — მხოლოდ მის რეპრეზენტატი-
ულ „მე“-ს. სხვა სიტყვებით რომ
ვთქვათ, როლები თეატრში სწორედ ას-
ეთებად გვევლინებიან. და არც მსახიო-
ბებმა და არც სხვებმა, არაფერი არ
უნდა ჩადონს მასში (როლში) გარდა
საკუთარი სპეციალიური თეატრალური
წარმოსახვისა; მით უფრო, რომ ის, რაც
სცენაზე ხდება, უარყოფილია წარმო-
სახვის იმ ხერხით, რომელიც დამახა-
სიათებელია სწორედ თეატრისათვის. ამიტომ თეატრი ფუნქციონირებს რო-
გორც უარყოფის თავისებური სიმბო-

ଶ୍ରୀମତ୍ରଦୂର୍ବଳାକାନ୍ତ

მსახიობი, მაგალითად, ასე შეიძლება მსჯელობდეს: მართლია, მე არა

ლო. ამდენად სპექტაკლი, რაც არ უნდა ახლოს იდგას სინამდვილესთან (ჭეშმარიტებასთან), იმავდროულად არის რაღაც სიცრუის წარმოდგენა და მის სისწორეში ეჭვის შეტანა შეუძლებელია. ამგვარი უარყოფის წყალობით

მყარდება იღუშორული მოვლენების აღქმის ჩვენი შესაძლებლობა და ამავე დროს მათი გარკვეულ ჩარჩოებში დაჭერაც, თითქოს იღუშია არც კი არის. თუკი რომელიმე ჰირანდელო, თითქოს მოსახევნებლად, ცდილობს დაგვარწმუნოს, რომ აქ ყველაფერი ისეა როგორც ცხოვრებაში, ამ იღუშიის არარეალური ბუნება მაშინვე იქნება გამოაშკარავებული, ვთქვათ, ბრეხტის მიერ.

ის ურთიერთობა, რომელიც ჰისტრიონიზმსა და თეატრალურ თამაშს აკავშირებს, ვერ აიხსნება სრულად მხოლოდ მათ შორის განსხვავებებშე მოთითებით. მაყურებელი, რომელიც საიმედოდ არის დაცული საჯუთარი ჰისტრიონული ცდენებებისაგან, გაკვირვებულია იმ აპლოდისმძნტებით, რომელიც თან სდევს რომელიმე დიდებულ ტირადის, რომელსაც იგი, მაყურებელი, არაბუნებრივად თვლის. ასეთი მაყურებელი არ უწევს ანგარიშს ისეთ ცდენებას, რომელიც აიძულებს მაყურებელს გაამხნევოს მსახიობი სწორედ მაშინ, როცა ეს უკანასკნელი უფრო მეტს აკეთებს, ვიღრე უბრალოდ წარმოაჩენს თავის პერსონაჟს. ეს მსახიობი ხომ ისეთ დეკლამირებას ახდენს, როგორიც მაყურებელს სურდა, სჭირდებოდა, თუმცა ვერ ბედავს გაითამაშოს და გულახდილად, ბილომდე გააშიშვლოს არასრულადი ვნებები. ყველაფერი ეს გვარწმუნებს, რომ მსახიობი არასოდეს ქრება მთლიანად თავისი პერსონაჟის მიღმა. რომ მან მეტის მეტად არ უნდა მიაპყროს გულისფერი

როლს, რომ კომპოზიციური როლები ჩვეულებრივ მეორეხარისხოვანია. ერთი სიტყვით, მაყურებელი თეატრში მიდის, რათა ნახოს როგორ თამაშობენ. იგი იმდენად აიგივებს თავის თავს მსა-

ხიობთან, რამდენადაც პერსონაჟთან და ეს ხდება რაღაც უცნაური შერწყმით, შეხამებით, რომელიც მხოლოდ თეატრისთვის არის დამახასიათებელი და არ გვხვდება სხვა სახის სანახაობების დროს.

საკუთრივ პათოლოგიური სფეროს სახლვრებში ჩანს, თუ როლის არის აქტიორი შეპყრიბილი თავისი პერსონაჟით და თამაშიდან გადადის ბოდვაზე. იქცევა რა ცხოვრებაში ისე, თითქოს სცენაზე მოქმედებს. ასეთი შემთხვევები მიგვითოთებენ, რომ თამაშსა და სიგიურს, შეშლილობას შორის არის ერთგვარი ნათესაური კავშირი (მხგავსება) და, ამავდროულად, მათ შორის არსებითი სხვაობა. ასეთ შემთხვევაში შეიძლება მტკიცება, რომ როლი ბოლომდე არ გამოვიდა, რომ იგი თავიდანვე არ აიგო თავისი ნამდვილი ფუნქციით. ე. ი. როგორც შემოქმედებითი წარმოსახვის გამოვლენა. თუმცა, ძნელია დაბეჯითებით თქმა, მსახიობი სინამდვილეს აღიქვამს რაღაც წარმოსახვად, თუ პირიქით, თეატრალური მოქმედება არის მისთვის რაღაც რეალური. თავად ეს სირთულეა მნიშვნელოვანი.

მსახიობის თეატრი

ნამდვილად მაცდუნებელია რაიმე მეტ-ნაკლებად პათოლოგიური ელემენტის გამოყოფის მცდელობა, რომელიც თეატრალური ქმედების საფუძვლში დგვს, მაგრამ ამის გაკეთება თითქმის შეუძლებელია თამაშის მსურველისა და იმ როლთან მიმართებაში, რომელიც სუბიექტს სურს რომ ითამაშოს. იმის გარეშე იგი ყოველთვის იქნება თავისი როლის ტყვე და ვერ მოიპოვებს კმაყოფილებას, თუ სხვაგვარად ითამაშებს და არა ისე, როგორც ეს რეალურ ცხოვრებაშია. თეატრალური თამაში, რომელიც თავის თავს უარყოფს სცენაზე, მხოლოდ იმედს გაუცრუებდა მას. ფაქტია, რომ არსებობს ასეთი საქმიანობა, იმისდამიუხედავად ნეკროი-



ტულია იგი თუ არა — რომ ბევრნი ის-წრაფვიან გახდნენ მსახიობები და საზოგადოებას, მაყურებელს შესთავაზონ სახეები. პერსონაჟისადმი ინტერესის გარდა, ყოველ მაყურებელში იწვევს მის-წრაფებას ამგარივე საქმიანობისადმი, წარმოუდგენს რა მას თამაშს, როგორც ასეთს, ასენებს სუფთა თამაშს კველანაირი პერსონაჟისა ამოწურვამდე. თეატრის ეს მხარე — მსახიობის თეატრი — იმდენად მიმზიდველია, რომ ბევრი მსახიობი და მაყურებელი კველაზე არსებითად მიიჩნევს.

სინამდვილეში კი იგი სცენის საპირისპიროს, საწინააღმდეგოს წარმოადგენს. დრამატული ხელოვნება მუდამ ცდილობდა ამის დამცლვას, თუმცა არასოდეს არ დავიწყებია იგი. საქმარისადაა მაგალითები, როცა სწორედ ეს ასპექტია წარმოწეული წინა პლანზე.

დავუშვათ, სპონტანური თეატრალობა და ჰისტორიული ჩეკვები გახვება შექსპირთან. საქმე ეხება პამლეტს, როდესაც მან ეს-ესაა მოისმინა პროფესიონალი აქტიორის მგზნებარე ტირადა. იგი უბრუნდება თავის ცხოვრებისეულ სიტუაციას და როგორც ისტერიული ავაღმყოფი, მხოლოდ უფრო ნათლად განსჯის უნარის მქონე, განიხილავ კონფლიქტის თავიდან აცილების შესაძლებლობას, თამაშობს რა მათ. მისივე სიტყვებით, მსახიობი რომ იყოს, მაშინ მაყურებელთა გულები უნდა დაფლოთოს და სცენა ცრუმდებით დასკელოს. ასე წარმოუდგენია მას თეატრალური წარმოსახვა შურისძიების გრძნობისა, რაშიც თვითონ არ იყო მტკაცედ დარწმუნებული. ამ ეპიზოდში მოცემულია ერთგვარი კრიტიკა ვნებების ჩვეული ხერხებით თამაშისა. მაგრამ აქვა ჩადებული ამბივალენტური გაგება ჰისტრიონიზმისა და აქტიორული თამაშის ურთიერთგადასკელებისა. კილრიჯს თუ მოვიშველიებთ, რეალური „მე“ და რეპრეზენტატიული „მე“ ვერა და ვერ შეთავსდნენ...

ამ მომენტიდან თეატრში დამკვიდრდა ის, რასაც მოგვიანებით „პირანდე-

ლიზმი“ ეწოდა. გასაგებია, რომელმდების მხრიდან სცენა მოითხოვს გაიგივებას მსახიობთან და არა პერსონაჟთან, გაიგივებას, რომელიც თანხვედრილია სიტუაციისა, რომელიც ფრონიდმა აღწერა „მეცნიერება სიზმრებში“ (მეოთხე თავი). პამლეტს შეეძლო ასე ეოქვა: თუ მსახიობს შეეძლოა შეძრწუნებული იყოს ჰეკვებას ბედით, რომელიც, კაცმა რომ თქვას, მას სულ არ აღლების, როგორი ტრაგიკული მსახიობი უნდა ვითო თვით მე, საქმე ხომ ჩემს საუთარ დედას ეხება...

თეატრისა და შემლილობის ურთიერთობაში სხვა ასპექტებიც იკვეთდა. მათი განსახლვრა არ წარმოადგენს რაიმე სირთულეს. ჩვენ გვესმის, შეიძლება არც თუ ისე ნათლად, თუ რად უნდოდა ნერვალს სწორედ მსახიობი ქალი, რომ მეტი რეალურობა მიენიჭებინა თავგადასავლებისათვის, რომელიც უფრო სიზმარს ჰგავდა, ან რად იმედოვნებდა არტო ეპოვა თეატრში საშუალება, რომ თავისი აზრებისა და ხატების, სახეებისათვის მიენიჭებინა „ფაქტის ხასიათი“. იგი უთუთ სათვეებს (ამოსავალ წერტილს) უბრუნდებოდა, როდესაც მოითხოვდა, რომ დრამატულმა ნაწარმოებმა უნდა წარმოაჩინოს უდიდესი ადამიანური კატასტროფები. იგი იქამდეც კი მიღიოდა, რომ თეატრს ადარებდა შავ ჭირს! მისი ამბობი, თავისუფლების დაუკეტელი მოთხოვნა (თავისი მოუთმენლობით) სავსე იყო ახალი იდეებით... მაგრამ კველაზე საინტერესო და მიმზიდველია ის, რომ მისივე დამოკიდებულება თეატრთან (ისევე როგორც ნევრალისათვის), უფრო გარკვეულობის, სინათლის გარანტია იყო, ვიდრე მიპატიურა ცდომილებასთან.

სცენა არ არის იღუზიებისა და შეცდომების, ცდომილების, გზააბნეულობის ადგილი, პირიქით — იგი ძალზე შუავალად, უღმობლად გვახვევს თავს კველაზე მკაცრ პირობითობებს.

შემდიღობა და
გაცხობილება და
კოცლიქტი

...მართალია, სიგიუსის ხუფთა სიმულაცია სცენაზე (ამგარია სიმულაცია ედგარისა „მეფე ლიორში“) სრულიძლება არ არის საინტერესო. აქ სიგიუსი დაყვანილია გადაცმამდე, თუმცა იგი, არ გვევლინება ასეთად პამლეტისათვის ან ერიკ XIV – ამ ამბივალენტური ფარისევლებისათვის, რომელთა მოქმედება შეიძლება აიხსნას სხვადასხვა-გვარად. ორივენი ჩართულია არაან კონფლიქტში შეგავსად ლირისა და ოფელისა კონფლიქტებისა. და ის, როგორ აღიძევამ ჩვენ ამ კონფლიქტს, – თუნდაც პამლეტთან – ბევრ რამები განსახლვრავს ჩვენს ინტერესს ამ პერსონაჟებისადმი. უნდა აღინიშნოს მთავარი, როგორც ერთის, ისე მეორისათვის, სიგიუსი ის როლია, რომელსც უნდა დაუყვლებოდნენ. ერიკის შემთხვევაში ძირითადი კონფლიქტიც კი უკანა პლანზე ვითარდება. ჩვენ გვიზიდავს უმთავრესად ერიკის მიერ თავის თავზე აღებული როლი (ყველა საჭირო აქსესუარით, კოსტიუმებით და დეკორაციებითურთ). როლი უდავოდ მეგური, როგორც ეს შეეფერება შემდიღის როლს, მაგრამ, როგორც ერთისთვის, ისე მეორისათვის დაცულია ერთგვარი ამბივალენტობა: კოლორიჯმა პამლეტის შესახებ შენიშნა, რომ უცნაურად გამოიყურება. როცა ნამდვილ შეშუოთებას მაღავს ნებაყოფლიბითი თვალითაქცობით, ამას გარდა, თვალთმაქცობა უპვე შეიძლება თვით იყოს ავადმყოფობის სიმპტომი. ნებისმიერ შემთხვევაში, თვით პამლეტის მიერ იმის აღიარება, რომ იგი იგორებს სიგიუსეს, რაზედაც ტექსტშიც არის არაორაზროვანი მითითებები, ჩვენ ბოლომდე ამისა არ გვევრა. ადვილი საჩვენებელია, თუ რამდენს მატებს მაყურებლის ორჭოფობა გაუცნობიერებლის დაჟინებულ მოთხოვნებს და რამდენად ზრდაა „მოუსვენარი უცნაურობის“ გრძნობას,

რომელშიც ეს მოთხოვნები შეიცნობენ თავს.

მონტერლანის შემლილ ფანას „ესპანელ კარდინალში“ არა აქვს სხვა მოწოდება, დანიშნულება, გარდა იმისა, რომ თავისი პარადოქსებური სიბრძნე გაახვიოს შეშლილობის სიღიადება და საიდუმლოების საბურველში. თუმცადა სხვა შემთხვევაში შეშლილებმა ჩვენამდე უნდა მოიტანოს არა იმდენად სიბრძნის, არამედ ჭეშმარიტების პარადოქსები. შეიძლება ეს იმიტომაც ხდება, რომ მათში მეტია მამაცობის ელემენტები საკუთარი თავისა და სხვების მიმართ (ე. ი. უფრო მამაცნი არიან), ან იმის გამო, რომ მათ ნაკლები მოვალეობები აქვთ ადამიანთა წინაშე, ანდა იმიტომ, რომ ასე გასაიდუმლოებულად, თვით მათთვის შესაძლებელი ხდება განსაკუთრებული გონების განათება (ე. ი. გონება უნათდებთ). სარტოთან „აღტონის ტესალებში“ არის ასეთი ფრაზა: „შეშლილები სიმართლეს ამბობენ“. თუმცა იგი ჯერ კიდევ პირანდელოსთან და სხვა ატორებთანაც გვხვდება.

სიგიუსი სცენაზე გამოყენების სხვა მრავალ საშუალებებზე შეიძლება მითითება. მაგ: პირანდელის „უდარუნებიან ჩაჩში“ მთავარი პერსონაჟის შეშლილობას უპვე თავის სტატუსით, როგორც ამას ეტიგეტი მოითხოვს, მივყართ ძიების კვანძის გახსნამდე. თანამედროვე თეატრისათვის კი ასეთი სტატუსი თითქმის მიუღებელია და დაკარგული. ახლა, უკვე აღარავინ იცის ვინ არის შეშლილი, ან ვინ შეიძლება იყოს, პერსონაჟი ერთგვარად უკანა პლანზე ინაცვლებს, ეს მაშინ, როცა სიგიურე ჩებება სამყაროს ახსნის ერთგურთ პირობად, იმ სამყაროსი, რომელშიაც ჩვენ ვცხოვოთ.

იმისდა მიუხედავად, სცენაზე წარმოდგენილი შეშლილობა გამარჯვებული რჩება თუ დაცინვის ობიექტია – ავტორის ფარული ჩანაფიქრისა თუ პერსონაჟთა შენიდბული კონფლიქტის მიუხედავად – იგი აღვიძებს ჩვენში

მძღვანელ და ბნელ გრძნობებს. ეს არის ცდუნება იმისა, რომ შეაჩერო ხამყარო, იყო კველასა და კველაურის წინააღმდეგი, მიიტაც რაღაც იღუზორული ძალაუფლება; ე. ი. კველა ის გრძნობა, რომელიც ჩვეულებრივ თრგუნავს ჩვენში ყოველგვარ კეთილგრინიერებას.

ა. ადამოვის პიესაში „შეშლილი შაიოდან“, რომელიც არ გამოირჩევა განსაკუთრებული სიღრმით, ერთი პერსონაჟი — პრეზიდენტი, ვერ მაღავს აღშფოთებას, როცა ხედავს ხულელი გმირი ქალის უხამსობას და წამოიძახებს: „მე ვფიქრობ იმ სკანდალზე, რომელიც მოყვებოდა ჩემ...“ (სხვაგვარად რომ

ვთქვათ, „მე რომ ასეთი უგუშური ვფოფილიყავი“) იმ აღშფოთების მიღმა აშკარად ისმის დიდი ცდუნების ხმა (ე. ი. იგრძნობა სურვილი ცდუნებისა). ამით თვით მაყურებლის ცდუნებაა წარმოდგენილი, თუმცა იქვეა უარყოფილი. როგორც ჩანს, სწორედ ამაში უნდა ვეძიოთ წყარო პირველად სიამოვნებათა ნაირგვარობისა, ავრეთვე იმ გრძნობებისა, რომელსაც მაყურებელი განიცდის შეშლილობის თეატრალური წარმოდგენის დროს, ე. ი. სცენაზე წარმოსახვის დროს.

თარგმნა მარინა ვასაძემ.

შურიალ „სალოვენების“ 1996 წლის ცომრების საკითხები

ესთოპიკის საკითხები,
თანახმროვეობა, ხალოვნება,
ცილინდრი

ბარათოლი ბესი — კულტურის ცნები-
სათვის 4-5-6

თეატრი, დრამატურგია

თუმანიშვილი მიხეილ — სულ რაღაცას
ველდები (ნაწყვეტები ბოლო წლე-
ბის სარეპერტიოი დღოურებიდან) 1-2-3
თუმანიშვილი გორგა — ვინ იყო ოტე-
ლოს პროტოტიპი
იყო კი ოტელო შაკენიანი? 4-5-6
ტაბატაძე თეონა — პავლე ფრანგიშვილი 1-2-3

კიბები

შეტრეველი თამაზ — ეშმაის ხარხარი 1-2-3
შექსირი უილიამ — დანის უფლისწუ-
ლის პამლეტის ტრაგედია (ინგლი-
სურიდან თარგმნა ზურლან გემაზა-
შვილმა) 1-2-3, 4-5-6

სახვითი ხელოვნება,
არაიმერიტურა, არაკოლოგია

ანდრიაძე დავით — პერცეპტიდან კონ-
ცეპტობდე ანუ იმპროვიზაციები ვა-
ზარელის ოპ-ოპერების თემაზე 4-5-6
ალპატროვი მიხალი — მხატვრული ნაწარ-
მოების სიცოცხლე
ბრეიგელის „ბრმები“
ველასკესის „ოლვარესი“ ერმიტა-
ჟში. დომიე მაიოლი 1-2-3
დავითანი ვახტანგ — ალექსანდრე ალ-
დაშვილის განსენება 4-5-6
ლეფავა სამსონ — ალექსანდრე ბანქელა-
ძის მხატვრობის მნიშვნელობისა-
თვის 4-5-6

მათიაშვილი ირმა — სურათის კონცეც-
ცია დავით კაკაბაძის თეორიულ შე-
მოქმედებაში 1-2-3
შევგულიძე ეთერ — პოლონ ქუთაფ-
ლაძის განსენება 4-5-6